

შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო IV“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	1
2. ჯგუფის სამუშაო გარემო.....	2
3. მომზადების საფუძველი.....	3
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	3
5. ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ.....	7
6. ძირითადი საშუალებები.....	9
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
9. ნასესხები სახსრები	10
10. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება.....	12
11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	12
12. ამონაგები	13
13. სხვა საოპერაციო ხარჯები	14
14. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები.....	14
15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

შპს სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	66,356	67,789
არამატერიალური აქტივები		6	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2,517	2,365
წინასწარი გადახდები	8	91	9
სულ გრძელვადიანი აქტივები		68,970	70,163
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული და სხვა დავალიანება		849	807
მარაგები		3	8
საგადასახადო ზედმეტობა		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	3,957	2,408
სულ მიმდინარე აქტივები		4,809	3,223
სულ აქტივები		73,779	73,386
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		34,520	34,507
დაგროვილი დეფიციტი		(3,435)	(3,326)
კაპიტალი		31,085	31,181
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		(1,596)	(1,496)
სულ კაპიტალი		29,489	29,685
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	41,799	38,680
საიჯარო ვალდებულებები		140	140
ანარიცხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		41,939	38,820
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები		2,278	4,735
სავაჭრო და სხვა დავალიანება		52	104
საიჯარო ვალდებულებები		21	42
ანარიცხები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,351	4,881
სულ ვალდებულებები		44,290	43,701
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		73,779	73,386

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:



ირაკლი აბაიშვილი, გიგლა სიხარულიძე
დირექტორები

შპს სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	12	8,133	8,201
სხვა შემოსავალი	13	-	612
გადაცემის ხარჯები		(357)	(36)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი		(1,025)	(1,005)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,031)	(2,014)
სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(1,437)	(1,755)
საოპერაციო მოგება		3,283	4,003
ფინანსური შემოსავალი		162	142
ფინანსური ხარჯები		(1,962)	(4,564)
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული (ზარალი)/მოგება წმინდა		(1,691)	203
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(208)	(216)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი მოცემული წლისთვის		(208)	(216)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერი:

ირაკლი აბაიშვილი, გიგლა სიხარულიძე
დირექტორები

შპს სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	არამაკონტროლე ბელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,506	(3,323)	(1,497)	29,687
კაპიტალის ზრდა	14	-	-	14
ჯგუფზე მისაკუთვნიებული ზარალი		(109)	(99)	(208)
მოცემული წლისთვის			-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,520	(3,435)	(1,596)	29,489

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერი:



ირაკლი აბაიშვილი, გიგლა სიხარულიძე
დირექტორები

შპს სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შპს „სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV“-ისთვის.

შპს სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV („ჰაიდრო IV“) დაფუძნებულია 2018 წლის 12 ივნისს და წამოადგენს კავკასიის განახლებადი ენერგიის ფონდის („ფონდი“) შვილობილ კომპანიას. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404559330. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ლეონიძის ქ. (ყოფ. კიროვი), N 2/გ.ტაბიძე N1, (ნაკვეთი N74/14), სართული 3, ფართი N5.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
201532830D, აქციებით შეზღუდული კერძო კომპანია კავკასუს ქლინ ენერჯი ჰოლდინგზ ჰტე. ლიმეტედი, სინგაპური.	100%	100%

საინვესტიციო ფონდის საქმიანობა მოიცავს მცირე და საშუალო ზომის ჰიდროელექტრო სადგურების განვითარებას და საწესდებო კაპიტალის ინვესტირებას.

ჰაიდრო IV-ის ერთადერთი ეკონომიკური საქმიანობა გულისხმობს შპს „აისში“ 72% წილის ფლობას და ფულადი სახსრებით დამფუძნებელთა კაპიტალის დაფინანსებას.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
შპს „სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV	72%	72%
შპს ელ პი ვი კო	20%	20%
შპს ჰიდროენერჯი	8%	8%

ჰაიდრო IV პროექტის განვითარებას ახორციელებს თანამფლობელებთან, შპს ელ პი ვი კო (20% წილის მფლობელი) და შპს ჰიდროენერჯი (8% წილის მფლობელი), ერთად.

შპს „აისი“ დაფუძნდა 2018 წლის 15 ოქტომბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400251543. კომპანიის იურიდიული საქართველო, თბილისი, ნამალაძევის რაიონი, დიდუბისდასახლება ქუჩა, N13 ნაგებობა N1 (ლიტ "ა").

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, საკუთრება და ოპერირება. ჯგუფის ყველა ოპერაცია სრულდება საქართველოში.

საპრეზენტაციო ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. ჯგუფის სამუშაო გარემო

კომპანა ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, აგრეთვე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობასა და განვითარების ხელშესაწყობად. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა შესაძლო მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ

მდგომარეობაზე. თუმცა მენეჯმენტი წინდახედულად ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. მომზადების საფუძველი

შეესაბამისობის განაცხადი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

ჯგუფი ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე.

კონსოლიდირების საფუძველები. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმო(ებ)ს: შპს „აისი“- 72%

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა შესაბამისად გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS SME-თვის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა საქართველოს სახელმწიფო ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

ბალანსის შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში აღნიშნული თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება იმ ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ოპერაციის თარიღისთვის. ამგვარი ოპერაციების განხორციელებიდან და უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაყვანიდან მიღებული მოგების და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2.6894
ევრო / ლარი	2.9306	2.9753

ამჟამად ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

დებიტორული დავალიანება. დებიტორული დავალიანება აღიარდება თავდაპირველად გარიგების ფასად. შემდგომ მისი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვები. დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის რეზერვები განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების თანახმად გადასახდელი ყველა თანხის ამოღებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება დაბალი ღირებულებით და რეალიზაციის სავარაუდო წმინდა ღირებულებით, რომელიც გამოითვლება, როგორც სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული შესრულებული სამუშაოს ყველა სავარაუდო ხარჯი და გაყიდვის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები. ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს შესყიდვის ხარჯსა და მათ მიმდინარე ლოკაციასა და პირობებში მოსაყვანად გაწეულ სხვა ხარჯს.

ყოველ საანგარიშო დღეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება გაუფასურებაზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის სარეალიზაციო ფასს გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი და გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის იმ ლოკაციასა და პირობებში მოყვანასთან, რაც აუცილებელია მისი ოპერირებისთვის ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად.

კომპანია ძირითადი საშუალებების კომპონენტების საბალანსო ღირებულებას ამატებს აღნიშნული კომპონენტის შესაცვლელი ნაწილების ხარჯს, ამგვარი ხარჯის წარმოშობის შემთხვევაში, თუ შეცვლილი ნაწილი სავარაუდოდ მოუტანს დამატებით სამომავლო სარგებელს კომპანიას. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება. ყველა სხვა შეკეთება და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი წარმოიშვება.

ცვეთა. მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა აქტივების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში აქტივების თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგი სახისაა:

სასარგებლო გამოყენების ვადა

	განუსაზღვრელი
მიწა	
შენობა	40 წელი
ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური მოწყობილობა	25 წელი
მილსადენი	40 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადები და გაუფასურების მეთოდები განიხილება და დაკორექტირდება მიახლოებით, შესაბამისობის შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის აღდგენად ღირებულებაზე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება სავარაუდო აღდგენად ღირებულებას (შენიშვნა 5).

განკარგვისას მოგება და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პუნქტში - 'მოგებას გამოკლებული ძირითადი საშუალებების განკარგვის ზარალი'.

გუდვილი. შვილობილის საწარმოს შესყიდვის შედეგად წარმოშობილ გუდვილი აღიარდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს საწარმოს შესყიდვის შედეგად გადახდილი კომპენსაციის მეტობას შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გუდვილი აღიარდება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით მიღებული თანხით.

რადგან შეუძლებელია გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედო განსაზღვრა, იგი ამორტიზდება 10 წლის განმავლობაში როგორც ეს დაშვებულია მსს ფასს-ის მე-19 განყოფილების 23-ე პუნქტით.

არამაკონტროლებელი წილი. შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი ფასდება მისი პროპორციული წილის საფუძველზე შეძენილი საწარმოს წმინდა იდენტიფიცირებად აქტივებთან დაკავშირებით აღიარებულ თანხებში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას, ფასდება თითოეული საანგარიშო თარიღით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშანი. აქტივის გაუფასურების ნიშნის არსებობის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი) საბალანსო ღირებულება შემოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGUs) სამართლიანი ღირებულების უმაღლესი მაჩვენებელი, გამოკლებული რეალიზაციისა და გამოყენების ხარჯი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც წარმოდგენილია განცალკევებით იდენტიფიცირებული ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არა-ფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, რომლებიც გაუფასურებას განიცდიდნენ, განიხილება გაუფასურების შესაძლო ანაზღაურებაზე, ყოველ საანგარიშო პერიოდში.

კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად საოპერაციო ფასად და შემდგომ განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არა-ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება და ვალდებულების თანხა შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს. თუ ეფექტი მატერიალური ხასიათისაა, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის დისკონტირებით გადასახდელამდე განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და, შესაბამისობის შემთხვევაში, ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების ხარჯის გარეშე, და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი აქტივი წარმოადგენს პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც დამოკიდებულია იმ სამომავლო მოვლენებზე, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ვინაიდან არსებობს გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, მოხდება თუ არა მოგების მატერიალიზება ან მათი ზუსტი ეკონომიკური ღირებულების დადგენა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს აქტივები არ აღირიცხება ბალანსში. ამის ნაცვლად, ისინი აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. პირობითი ვალდებულება ნიშნავს ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაურკვეველი სამომავლო მოვლენის შედეგის მიხედვით. პირობითი ვალდებულება აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომის ალბათობა და პასუხისმგებლობის ოდენობა შეიძლება გონივრულად შეფასდეს. პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის შენიშვნებში, გარდა ორივე პირობის არ დაკმაყოფილების შემთხვევისა.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავენ კომპანიის პარტნიორები. კომპანიის განცხადებულ კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადებული საწესდებო კაპიტალის გადაჭარბება / (დეფიციტი) ფაქტობრივი შენატანების ღირებულებამდე აღირიცხება, როგორც განაღდებული / (გაუნაღდებელი) კაპიტალი, შესაბამისად. ასევე, კომპანიის პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში ნაღდი ფულის სახით ან ნატურით, რომლებიც გათვალისწინებული იყო კომპანიის კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ბალანსის შედგენის თარიღისთვის, აღიარებულია განაღდებული კაპიტალის სახით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის რეალიზაციისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი განისაზღვრება სარეალიზაციო / დამატებითი ღირებულების გადასახადის, ამონაგების, ფასდათმობების და ფასდაკლების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც: შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოძენების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით; როგორც აღწერილია ქვემოთ.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს პროდუქტებს ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ან კომპანიას გააჩნია ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარები. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც არ ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის მეიჯარისგან კომპანიაზე გადაცემას, იჯარის მთლიანი გადახდა გატარდება ხარჯის სახით წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის ვადა წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე გააფორმებს ხელშეკრულებას იმასთან დაკავშირებით, რომ იჯარით აიღოს აქტივი ნებისმიერი შემდგომი ვადით, რომლის მანძილზეც მოიჯარეს უფლება ექნება გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში, გარკვევით იქნება მითითებული, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ ოფციით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადანაწილდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან არ იხვერება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას. იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დახეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გადასახადების გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება პუნქტში - 'გადასახადები, გარდა მოგებისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში'.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. აღნიშნული შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები მოგების გარდა სხვა პოზიციებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“) ექვემდებარება ანგარიშსწორებას საგადასახადო ორგანოების მიმართ იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება, ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ს გადახდას ნეტო-საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

დივიდენდების განაწილება. ჯგუფის პარტნიორების მიმართ დივიდენდების განაწილების აღიარება ხდება ვალდებულების სახით იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ჯგუფის პარტნიორები დაამტკიცებენ დივიდენდებს.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაწეული გაუფასურების ზარალის რეზერვების გარეშე.

შესწორების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელიც იძლევა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვას.

5. ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ დასკვნების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე აკეთებს სხვა დაშვებებს. დაშვებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მოქმედი საწარმო. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე ზრახვები, სამომავლო ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გააანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. კომპანიას აქვს საჭირო რესურსი საქმიანობის გასაგრძელებლად პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დაშვებების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის

ექსპლუატაცია. აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში რაიმე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლის მაჩვენებლების კორექტირება.

შპს სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო IV
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვალებადობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიწა	ჰესების შენობები და ნაგებობები	ელექტრომექა- ნიკური და ჰიდრომექანიკ- ური აღჭურვილობ- ა	საოფისე მოწყობილობა , აღჭურვილობ- ა და ფიტინგები	სატრანსპორტო საშუალებებ- ი	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სათადარიგო ნაწილები	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	54,081	15,711	114	129	-	-	70,112
დანამატები	-	46	356	15	84	6	87	594
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	54,127	16,067	129	213	6	87	70,706
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,511	702	83	27	-	-	2,323
ხარჯი წლის განმავლობაში	-	1,357	636	20	14	-	-	2,027
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2,868	1,338	103	41	-	-	4,350
საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	52,570	15,009	31	102	-	-	67,789
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	51,259	14,729	26	172	6	87	66,356

სს „თი-ბი-სი ბანკთან“ აკრედიტივის ხელშეკრულებების თანახმად, კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, ასევე საკუთრება არის ბანკის გირავნობის ქვეშ.

შპს სი-სი-ი-ეიჭ ჰაიდრო IV
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

<i>ათასი ლარი</i>	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	634	587
სხვა მოთხოვნები	185	177
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(170)	(144)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	649	620
საგადასახადო მოთხოვნები	200	186
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	849	806

8. ფული და ფულის ექვივალენტები

<i>ათას ლარში</i>	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში	3,957	2,408
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	3,957	2,408

9. ნასესხები სახსრები

<i>ათას ლარში</i>	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საბანკო სესხები	44,077	43,415
სულ ნასესხები სახსრები	44,077	43,415

9. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

კომპანიას სს თიბისი ბანკთან გაფორმებული აქვს შემდეგი სასესხო ხელშეკრულებები:

სესხი #1 –12,985 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის თარიღით 2037 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გაცემულია რამდენიმე ტრანშის სახით 2021 და 2022 წლებში, გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

სესხი #2 –1,515 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის ვადა 2028 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

სესხი #3 –1,000 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის ვადა 2037 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

2024 წლის 25 მარტს, კომპანიამ შეცვალა სს „თიბისი ბანკთან“ არსებული ყველა დაუფარავი სესხის ხელშეკრულების პირობები, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის (რომელიც გამოყენებულა 2022 და 2023 წლების პერიოდებისთვის, ასევე 2024 წლის პირველი 25 დღისთვის) ორი წლის განმავლობაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის გზით, რასაც შემდგომში მოჰყვება მცოცავი განაკვეთი. დაფარვის ვადები გაგრძელდა 2038 წლის 25 ივლისამდე.

სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით კომპანიას აქვს საშუალებით პერიოდი მშენებლობის ფაზის განმავლობაში და ძირითადი თანხის ნაშთის პირველი სახელშეკრულებო გადახდის ვალდებულება იწყება 2023 წლის მეორე ნახევრიდან.

ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით დაგირავებულია კომპანიის ყველა აქტივი, ისევე, როგორც კომპანიის 100% საკუთრების წილი.

კომპანია ექვემდებარება გარკვეულ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებს, რომლებიც, ძირითადად, სს თიბისი ბანკისგან მიღებულ ნასესხებ სახსრებთანაა დაკავშირებული.

10. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებების ანალიზს და კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან ვალდებულებების ცვლილებას თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	43,415	183	43,598
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	1,890	-	1,890
ნასესხები სახსრების დაფარვა	(345)	-	(345)
გადახდილი პროცენტი	(4,471)	(45)	(4,516)
სულ ფულადი ნაკადები	(2,926)	(45)	(2,971)
არაფულადი ცვლილებები			
ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა	1,796	-	1,796
ნასესხები სახსრების რესტრუქტურულიზაციასთან	(2,900)	-	(2,900)
დაკავშირებული შემოსულობები, შემცირებული ზარალით			
დარიცხული პროცენტი	4,692	23	4,715
სულ არაფულადი ცვლილებები	3,588	23	3,611
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2024 წლის 31 დეკემბერს	44,077	161	44,238

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	42,717	160	42,877
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	1,158	-	1,158
ნასესხები სახსრების დაფარვა	(777)	-	(777)
გადახდილი პროცენტი	(4,015)	-	(4,015)
სულ ფულადი ნაკადები	(3,634)	-	(3,634)
არაფულადი ცვლილებები			
ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა	(207)	-	(207)
დარიცხული პროცენტი	4,539	23	4,562
სულ არაფულადი ცვლილებები	4,332	23	4,355
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 31 დეკემბერს	43,415	183	43,598

11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

მშენებლობის უფლების ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანია იჯარით იღებს მიწის ნაკვეთებს, სადაც მდებარეობს ჰესები ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2. მოცემული ხელშეკრულებები გაფორმებულია ფიქსირებული პერიოდებისთვის - 49 წელი.

იჯარის ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ახდენს საიჯარო გადახდების დისკონტირებას იჯარის აღიარების თარიღისთვის მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით. კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებების ფულადი ნაკადები დენომინირებულია ლარში. 2024 და 2023 წლებში გამოყენებული განაკვეთი დაახლოებით 14.2%-ს შეადგენდა.

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო IV
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

ათასი ლარი	2024	2023
აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	157	160
ამორტიზაციის ხარჯი	(3)	(3)
აქტივების გამოყენების უფლების მთლიანი ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	160	160
დაგროვილი ამორტიზაცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6)	(3)
აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	154	157

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	140	140
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	21	43
სულ საიჯარო ვალდებულებები	161	183

2024 წლის ფინანსურ ხარჯებში შეყვანილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 23 ათასი ლარი (2023: 23 ათასი ლარი).

მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები შეყვანილია სხვა საოპერაციო ხარჯებში, ადგილობრივი მიწის ქირავნობის, დასუფთავების საფასურისა და ქირავნობის ხარჯების ნაწილში.

12. ამონაგები

ათასი ლარი	2024	2023
ელექტროენერგიის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	6,838	8,201
ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვა	1,295	-
სულ ამონაგები	8,133	8,201

ამონაგები წარმოადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2024	2023
გადასახადების ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	674	690
საკუთრების დაზღვევა	173	145
პროფესიონალური მომსახურების საფასური	159	155
რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	89	108
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის დანახარჯი (ESG) *	63	91
წარმომადგენლობითი ხარჯები	40	9
ქირავნობის ხარჯები	36	37
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები	26	144
კომუნალური ხარჯები	20	25
საოფისე მარაგები	17	9
სხვა	140	319
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	1,437	1,732

14. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები ახასიათებს, რომლებიც ხშირად გაურკვეველი და ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც შესაბამისად მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვასა და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც მძიმე საურავების, ჯარიმებისა და საპროცენტო ხარჯების დაკისრების ძალაუფლება აქვთ. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც ბევრ სხვა ქვეყანაში არსებულ მსგავს რისკებზე არსებითად მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისი ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და შესაბამისად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანოები წამატებით დასრულებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს.

ვალდებულება საქართველოს მთავრობის წინაშე. 2016 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის (მემორანდუმის) საფუძველზე, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2022 წლის 23 თებერვალს, კომპანიას აქვს ვალდებულება ააშენოს ჰესები და აქვს შესაძლებლობა გაყიდოს ელექტროენერგია ექსკლუზიურად ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორზე ("ESCO"). ") 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან აპრილამდე) 5.8 აშშ დოლარის ცენტ/კვტ/სთ-სთვის ფასში პირველი 15 წლის განმავლობაში ან ნებისმიერ სხვა მხარეზე საქართველოში. კომპანიას აქვს ვალდებულება დაასრულოს ჰესების მშენებლობა 2022 წლის 26 დეკემბრამდე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შესაბამისობაში იყო მთავრობის მიმართ არსებულ ვალდებულებებთან.

საბანკო გარანტიები.

კომპანიამ უზრუნველყო საბანკო გარანტია ხელმოწერილი მემორანდუმის შესაბამისად:

- 910 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სამშენებლო საბანკო გარანტია გაცემულია შპს CCEH Hydro IV-ის მიერ კომპანიის სახელით 2020 წლის 2 ივლისს, რომელიც საქართველოს მთავრობამ უნდა გაათავისუფლოს სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე. გარანტია გაცემულ იქნა 2023 წლის მაისში.

სხვა საბანკო გარანტიები:

- კომპანიას ჰქონდა ორი საბანკო გარანტია WWS Wasserkraft-სთვის (ავსტრია), მონტაჟისთვის საჭირო ხელსაწყოების იმპორტისთვის: 12 ათასი ლარი და 28 ათასი ლარი, რომელსაც ვადა 2022 წელს გაუვიდა.

14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

- ამასთან, კომპანიის მიერ 2021 წლის 5 თებერვალს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტზე გაცემულია საბანკო გარანტია 2,449 ათასი ლარის ოდენობით. გარანტიის დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 306 ათასი ლარი. გარანტიის ვადა სრულდება 2023 წლის 22 დეკემბერს.

საქართველოს მთავრობასთან 2022 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის (მემორანდუმის) საფუძველზე, კომპანიას აქვს ოფციონი, რომ ელექტროენერგია გაყიდოს ექსკლუზიურად ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორზე ("ESCO"). 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან აპრილამდე) 6.00 აშშ დოლარის ცენტ/კვტ/სთ მაქსიმალურ ფასად ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, ან ნებისმიერ სხვა მხარეზე საქართველოში.

ESCO-სთან გაფორმებული ელექტროენერგიის ათი წლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას ("PPA") ხელი მოეწერა 2022 წლის 23 სექტემბერს და ძალაში შევიდა 2022 წლის 8 ნოემბერსა და 2022 წლის 17 ნოემბერს ახალქალაქი 1 ჰესისთვის და ახალქალაქი 2 ჰესისთვის, შესაბამისად.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. სს თიბისი ბანკთან არსებული აკრედიტაციისა და ნასესხები სახსრების ხელშეკრულებების მიხედვით, ბანკში დაგირავებულია კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, აგრეთვე წილობრივი მონაწილეობა.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ასპექტები კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია და პროექტის განვითარების სრული პროცესი ფასდება და ვითარდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების (EIB, IFC) გათვალისწინებით.

სოციალური საკითხები. 2020 წელს კომპანიამ აიღო ვალდებულება დააფინანსოს გარკვეული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები ახალქალაქის ჰესების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი საზოგადოებისთვის. ეს ინიციატივა პროექტის დასაწყისშივე წარმოიშვა, რათა უზრუნველყოფილიყო ჰესების უწყვეტი განვითარება ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი გამოწვევების გარეშე. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მიერ განსახორციელებელი სოციალური პროექტების სიებს. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ამის ნაცვლად, კომპანიის განზრახვაა, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ თემებს.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებებს, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადად სს თიბისი ბანკიდან მის მიერ ნასესხებ სახსრებთან და აკრედიტაციასთან.

ასეთ შეთანხმებებთან შესაბამისობამ კომპანიისთვის შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორისაა სესხების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. გარე/შიდა ფაქტორების გამო, კომპანია არ იყო ზოგიერთ შეთანხმებულ პირობასთან შესაბამისობაში და 2022 წლის განმავლობაში და 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა ამას არ მოჰყოლია რაიმე უარყოფითი შედეგი, რადგან სესხის მიმწოდებელმა, 2022 და 2023 წლების განმავლობაში, უარი განაცხადა მოთხოვნის უფლებაზე, რის შედეგადაც ნასესხები სახსრები არ იყო კლასიფიცირებული, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს კომპანიის დირექტორებს. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება სრულ განაკვეთზე აღმასრულებელ მმართველ პოზიციებზე მომსახურეობისთვის შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და ჯანმრთელობის დაზღვევისგან.

მთავარი ხელმძღვანელი პირების სრული ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

<i>ათასი ლარი</i>	2024	2023
ხელფასები და სარგებელი	151	211

15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხის დაფარვა. 2025 წლის თებერვალსა და მარტში კომპანიამ ვადაზე ადრე დაფარა #3 საბანკო სესხი 600 ათასი აშშ დოლარისა და 150 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (შესაბამისად, 1,683 ათასი და 419 ათასი ლარის ეკვივალენტი).

საკრედიტო ხაზი. 2025 წლის მარტში, კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს „თიბისი ბანკთან“, 700 ათასი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ლიმიტით, რათა მეტად უზრუნველყოფილი ჰქონოდა მისი ლიკვიდობის პოზიცია. ინსტრუმენტს აქვს სამწლიანი ვადა და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისთვის არ არის გამოყენებული.

ნასესხები სახსრების მოდიფიკაცია. 2025 წლის 28 იანვარს, კომპანიამ ხელახალი მოლაპარაკება აწარმოა სს „თიბისი ბანკთან“ სამივე სავალო ხელშეკრულების პირობებზე, რითაც უზრუნველყო უფრო ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან.